

2023 წლის 1 ივნისი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: მერაბ მურადაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ა) №1591 კონსტიტუციურ სარჩელზე: „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

ბ) №1605 კონსტიტუციურ სარჩელზე: „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის, მერაბ მურადაშვილის წარმომადგენლები – გიორგი გოცირიძე და ვასილ ჟიჟიაშვილი; მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი – მიხეილ შარაშიძე; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა, რუსუდან მუმლაური, ნინო შარმანაშვილი და ლევან ღვთაძე; მოპასუხის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენლები – მარიამ კერესელიძე და თამარ ჭანტურაია; საჯარო დაწესებულების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დიანა კვარაცხელია; საჯარო დაწესებულების, სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელი, – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე თამთა რეხვიაშვილი და ამავე სამმართველოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იზაბელა ასამბაძე; სპეციალისტები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ირინე ანდრონიკაშვილი და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი, ზურაბ კახაბრიშვილი.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1591) მომართა მერაბ მურადაშვილმა. №1591 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად



განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადმოეცა 2021 წლის 19 აპრილს. №1591 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 11 ივნისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/7/1591 საოქმო ჩანაწერით, №1591 კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 20 მაისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1605) მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. №1605 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადმოეცა 2021 წლის 24 მაისს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 18 ნოემბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის №1/11/1605 საოქმო ჩანაწერით №1605 კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად და გაერთიანდა №1591 კონსტიტუციურ სარჩელთან ერთ საქმედ. №1591 და №1605 კონსტიტუციური სარჩელების არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს.

3. №1591 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

4. №1605 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

5. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესი) 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის 55 წელს შეადგენს, ხოლო ამავე კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების ან/და სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად მიუთითებს ზღვრული ასაკის მიღწევას.

6. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს“.

7. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლება.

8. №1591 კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს გორის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს I სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველი/მძღოლი/სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტი, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2020 წლის



9 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო.

9. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სადავო ნორმები განსხვავებულ უფლებრივ რეჟიმს უდგენს არსებითად თანასწორ პირებს. კერძოდ, შესადარებელ ჯგუფებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, 55 წელს მიღწეული უმცროსი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები (სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტები), ხოლო, მეორე მხრივ, ის მოსამსახურეები, რომელთაც 55 წლისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. სადავო ნორმების მოქმედების შედეგად, 55 წელს მიღწეული პირები სრულად კარგავენ უფლებას, დაიკავონ უმცროსი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის (სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტის) თანამდებობა და, ასევე, მათ მიმართ არსებობს სამსახურიდან გათავისუფლების ავტომატური საფუძველი, ხოლო ამგვარი შეზღუდვები არ ვრცელდება 55 წელს მიუღწეველი პირების მიმართ.

10. მოსარჩელე მიუთითებს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, კოორდინაციას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ფუნქციონირებას, პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მომუშავე სპეციალური წოდების მქონე უმცროს და საშუალო მოსამსახურეებს შეეძლოთ მათზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და, შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვას. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზანს შესაძლოა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენდეს, თუმცა მიზნის მიღწევა ხდება მოსარჩელის უფლებების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.

11. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ როტაციის პრინციპის (თაობათა შორის სამუშაო ადგილების გადანაწილების ლეგიტიმური მიზანი და ახალგაზრდების შესაძლებლობა, ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა შრომის ბაზარზე) ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, 55 წლის პირები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს მათი უფლებების არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე. შესაძლებელია, სახელმწიფომ გაატაროს ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებისათვის გამოათავისუფლებს სამუშაო ადგილებს, თუმცა აუცილებელია დაბალანსდეს ახალგაზრდა პირებისა და ხანდაზმული პირების ინტერესები. ეს უკანასკნელები არ უნდა დარჩნენ შემოსავლის გარეშე და კომპენსაციის სახით უნდა დაენიშნოთ ადეკვატური პენსია.

12. მოსარჩელე მხარე არ დავობს იმ გარემოებაზე, რომ ნებისმიერი უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელება გულისხმობს ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლას, ხოლო მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭიროა მოსამსახურეთა ფიზიკური და მენტალური მდგრადობა, ასევე იმ უნარ-ჩვევების არსებობა, რომელიც აუცილებელია ბუნებრივ სტიქიებთან საბრძოლველად, თუმცა იგი მიიჩნევს, რომ 55 წელი არ უნდა იქნეს მიჩნეული იმ ასაკობრივ კატეგორიად, რომლის მიღწევის შემთხვევაშიც, მეხანძრე-მაშველთა დიდი ჯგუფი აუცილებლად კარგავს შესაძლებლობას, განახორციელოს მასზე დაკისრებული ფუნქციები. მოსარჩელე მიუთითებს, რომ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ სამუშაოს სპეციფიკა, რომელსაც მოსარჩელე ასრულებდა. კერძოდ, მას დაკისრებული ჰქონდა მძღოლის ფუნქცია, რომლის მოვალეობაცაა სახანძრო ტექნიკასთან ურთიერთობა და მათი მწყობრში ყოფნის უზრუნველყოფა. აღნიშნული არ მოითხოვს მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას, რასაც ვერ შეასრულებს 55 წელს გადაცილებული პირი.

13. მოსარჩელე დამატებით აღნიშნავს, რომ, თავისთავად, შესაძლოა, გარკვეულ ასაკში მყოფ პირთა დიდი უმრავლესობისთვის შეუძლებელი იყოს კონკრეტული საქმიანობის სათანადოდ განხორციელება, მაგრამ ეს არ წარმოადგენს დიფერენცირების გამამართლებელ თვითკმარ საფუძველს და სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ შეუძლებელია ან/და არაგონივრულია პირთა უნარების ინდივიდუალური შეფასება და თანამდებობის დაკავების საკითხის მის საფუძველზე გადაწყვეტა.

14. მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ წესზე, რომელიც მეხანძრე-



მაშველის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველად ითვალისწინებს ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად შესაბამისი პროგრამის წარუმატებლად გავლას და მიუთითებს, რომ აღნიშნული წესი ისედაც ითვალისწინებს მეხანძრე-მაშველის თანამდებობიდან გათავისუფლებას, თუ მას დაუქვეითდა ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობები, რომელიც ესაჭიროება სამსახურებრივი მოვალეობების სათანადოდ განსახორციელებლად. ამდენად, შესაძლებელია, მეხანძრე-მაშველები 55 წლის ასაკის მიღწევას დაექვემდებარონ ინდივიდუალურ შემოწმებას, რაც არ იქნება დაკავშირებული დამატებით არაგონივრულ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ვინაიდან კანონმდებლობით, ისედაც გათვალისწინებულია ფიზიკური მომზადების დონის პერიოდული შემოწმება.

15. მოსარჩელე ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ, მართალია, არსებული რეგულაციის პირობებში მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს სამსახურის უფროსს სამსახურის ვადის 5 წლით გაგრძელების შესახებ, თუმცა ასეთ შემთხვევაში ვადის გაგრძელება დამოკიდებულია სამსახურის უფროსის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და არა პირის ინდივიდუალური ფიზიკური დონის შემოწმებისა და მისი სამსახურის პირობებთან შესაბამისობის საფუძველზე.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას და ისინი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

17. №1591 კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხე მხარის განმარტებით, შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციაში მოხდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვა. სადავო ნორმა, აგრეთვე ემსახურება თაობათა შორის როტაციის პრინციპის უზრუნველყოფას, რათა მოხდეს, მათ შორის, სამუშაო ადგილების სამართლიანად გადანაწილება. მოპასუხე მხარე ეყრდნობა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, სამუშაო ადგილებზე ასაკობრივი ზღვრის დაწესება დისკრიმინაციად არ განიხილება და ხელს უწყობს თაობათა ცვლას.

18. მოპასუხე მხარე განმარტავს, რომ მეხანძრე-მაშველის შტატზე დანიშნული პირი ახორციელებს ხანძრის პროფილაქტიკასა და ჩაქრობას, ატარებს სამაშველო-საავარიო სამუშაოებს, ახორციელებს საგანგებო სიტუაციების პრევენციას და მასზე რეაგირებას, მართავს და ორგანიზებას უწევს ამ დონისძიებებს. შესაბამისად, მათ სჭირდებათ განსაკუთრებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური მომზადება, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო-საექიმო და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 მაისის №69 ბრძანების (შემდგომში – „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №69 ბრძანება“) შესაბამისად, სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები ექვემდებარებიან ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მაღალ მოცულობას, რაც ცხადყოფს, რომ სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ, მათი თანამდებობიდან გამომდინარე, სამედიცინო თვალსაზრისით, უფრო მაღალი სტანდარტები მოქმედებს ვიდრე სხვა მოსამსახურეების მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განხორციელება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული როგორც თავიანთი, ასევე გუნდის სხვა წევრების და ზოგადად მოქალაქეთა უსაფრთხოება. სწორედ აღნიშნულის გამო, მეხანძრე-მაშველების შემთხვევაში, სხვა მოსამსახურეებთან შედარებით, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე ფიზიკური დონის შემოწმების ფარგლები გაცილებით ფართოა.

19. მოპასუხე მხარის განმარტებით, შესაძლებელია, მეხანძრე-მაშველებს შორის განაწილდეს ფუნქციები სწრაფად ორგანიზებულობის უზრუნველყოფისთვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფს მათი ერთიანი სასწავლო პროგრამით მომზადებას, რათა შემთხვევის მასშტაბურობისა და საჭიროებიდან გამომდინარე, თითოეული კადრი იყოს თანაბრად აღჭურვილი სათანადო უნარ-ჩვევებით. ამრიგად, მძღოლი მეხანძრე-მაშველი, საშტატო ნუსხის შესაბამისად, წარმოადგენს მეხანძრე-მაშველის პოზიციაზე დასაქმებულ პირს, რომელსაც დაკისრებული აქვს ზოგადად მეხანძრე-მაშველისთვის გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს მეხანძრე-მაშველისა და მეხანძრე-მაშველი მძღოლისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული შემთხვევების



თავისებურებისა და სირთულის გათვალისწინებით, მეხანძრე-მაშველ მძღოლს შესაძლოა, დაეკისროს უშუალოდ სახანძრო სამაშველო ოპერაციაში ჩართვისა და, შესაბამისად, მისთვის მეხანძრე-მაშველის ფუნქციების განხორციელების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ასრულებდა მძღოლის ფუნქციას და სწორედ ამ ფუნქციასთან მიმართებით უნდა შეფასდეს დადგენილი ზღვრული ასაკის კონსტიტუციურობა, არარელევანტურია.

20. მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მოჰყავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახური მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ დატვირთვას გარკვეულ ოპერაციებთან მიმართებით, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ ახალგაზრდა მეხანძრეებს შეუძლიათ. მოპასუხე ასევე ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო კვლევებზე, რომელიც აშშ-ის შრომის სტატისტიკის ეროვნულმა ბიურომ გამოაქვეყნა. კერძოდ, კვლევა ეხებოდა მეხანძრე-მაშველებს და მის ფარგლებში შერჩეულ იქნა 150 ადამიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კვლევაში მითითებული იქნა, რომ 40-დან 45-წლამდე ჯგუფის 38%, 50-დან 55 წლამდე ჯგუფის 60% და 60-დან 65 წლამდე ჯგუფის 96% მიჩნეულ იქნა სუსტად ან არასათანადოდ ხანძართან ბრძოლაში.

21. მოპასუხე მხარის პოზიციით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა არ არის ბლანკეტური ხასიათის. სადავო ნორმა 55 წელს მიღწეულ მეხანძრე-მაშველის ინდივიდუალური სამედიცინო შემოწმების საფუძველზე, უშვებს სამსახურის ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას, ამავდროულად, აუცილებელია, ახალი კადრების დეფიციტიდან გამომდინარე, არსებობდეს პირისთვის სამსახურის ვადის გახანგრძლივების ინტერესი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, 2019-2021 წლის მონაცემებით, საერთო ჯამში, 263 ადამიანს შეუსრულდა ზღვრული ასაკი, საიდანაც 100 პირს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა, ხოლო 163 პირი დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვერ დაასახელა აღნიშნული 163 ადამიანიდან რამდენმა პირმა მიმართა სამსახურის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნით.

22. მოპასუხე მხარის განმარტებით, წინამდებარე დავა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებებისგან. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმა არ არის ბლანკეტური ხასიათის და შესასრულებელი სამუშაოც სპეციფიკურია – იგი დაკავშირებულია ფიზიკური ძალის გამოყენებასთან. მეხანძრე-მაშველის ფუნქცია-მოვალეობები და ამ ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევები არსებითად განსხვავდება როგორც მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრის, აგრეთვე სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლის ფუნქციებისაგან და ამ ფუნქციათა შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევებისაგან. სასამართლოს მანდატურის სამსახურის დატვირთვა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეხანძრე-მაშველის სამუშაო დატვირთვას. ამასთან, მნიშვნელოვანია, თუ რა შედეგი, ზიანი შეიძლება დადგეს მანდატურისა და მეხანძრე-მაშველის მიერ ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, მოპასუხის აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განსხვავებულად უნდა მიუდგეს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებას.

23. მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ მეხანძრე-მაშველისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულება მოითხოვს ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნის მაღალ დონეს. მის ვალდებულებას წარმოადგენს როგორც მოქალაქეთა, აგრეთვე საკუთარი და გუნდის სხვა წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ამდენად, სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, ობიექტურად შეუძლებელია 55 წლის ასაკის პირების მაღალი პროცენტით დასაქმების გაგრძელება. შესაბამისად, ასაკობრივი ზღვრის დაწესება განპირობებულია რაციონალური და ობიექტური საჭიროებებით და ამდენად, ასაკობრივი ბარიერის დაწესებით, სახელმწიფო არ ახდენს კონკრეტულ ზღვრულ ასაკს მიღწეული ადამიანების თვითმიზნურ დისკრიმინაციას.

24. №1605 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმა ადგენს ზღვრულ ასაკს სპეციალური პენიტენციური სამსახურის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისთვის, რომლის მიღწევის შემთხვევაში, ის ავტომატურად გათავისუფლდება სამსახურიდან. შესაბამისად, სადავო ნორმა აწესებს ბლანკეტურ შეზღუდვას და არ ითვალისწინებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასა თუ ფუნქციურ დატვირთვას. საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის გათავისუფლების სხვადასხვა საფუძველებს, რომლებიც უშუალოდ კავშირშია მასზე დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესრულების შეუძლებლობასთან,



მაგალითად, პირის შრომისუნარობა, ჯანმრთელობის პრობლემა. სადავო ნორმა კი ვრცელდება, მათ შორის, იმ პირებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ შეუძლიათ განახორციელონ საქმიანობა, ხოლო მათი გათავისუფლება ეფუძნება მხოლოდ ზღვრული ასაკის მიღწევას.

25. მოსარჩელე მხარის განმარტებით, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც, ზღვრული ასაკის მიღწევის მიუხედავად, პირებს უგრძელდებათ საქმიანობის ვადა 5 წლამდე ვადით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ხოლო უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის ამგვარი შესაძლებლობა საერთოდ არ არსებობს. სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომ მოსამსახურე ვერ შეძლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რა თქმა უნდა, ლეგიტიმური საფუძველია ზღვრული ასაკის მიღწევისას პირის გათავისუფლებისთვის, თუმცა უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის შემთხვევაში, მსგავსი შეფასება კი არ ხდება.

26. მოსარჩელე ასევე აპელირებს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური ფუნქციონირებს ორი ტიპის დანაყოფის მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ქვედანაყოფებს. ქვედანაყოფების, სტრუქტურული ერთეულებისა თუ სამმართველოების ფუნქციები განსხვავდება ერთმანეთისგან და მოიცავს როგორც ფიზიკურ აქტივობას, ასევე ორგანიზაციულ საკითხებსაც. უმცროსი სპეციალური წოდების ქვეშ ერთიანდებიან რიგითი, უმცროსი სერჟანტი, უფროსი სერჟანტი და ზემდეგი. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ ექცევიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ფუნქცია-მოვალეობებს შეიძლება ასრულებდნენ, სადავო ნორმა კი მათ ბლანკეტურად უწესებს ზედა ასაკობრივ ზღვარს და არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ გარემოებებს.

27. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმის საფუძველზე, 60 წელს მიღწეული და 60 წელს მიუღწეველი მოქალაქეების მიმართ განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი არის დადგენილი. მოსარჩელის მტკიცებით, არ არსებობს რაიმე ხელშესახები განსხვავება ამ პირებს შორის, გარდა იმისა, რომ ერთი კატეგორიის პირები დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს, რომელთაც აქვთ საქმიანობის განხორციელების თანაბარი ინტერესი. სადავო ნორმა კი ახდენს მათ დიფერენცირებას ასაკის საფუძველზე. ამგვარად, მოსარჩელის აზრით, შესაძარებელ პირებს წარმოადგენენ 60 წელს მიღწეული პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები (ზემდეგის წოდების მქონე პირები) და ამავე წოდების ის მოსამსახურეები, რომლებსაც 60 წლისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.

28. №1605 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიუთითებს, რომ კანონმდებელი უფლებამოსილია, დააწესოს გარკვეული შეზღუდვები ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორცაა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ მათი ფუნქციების სრულფასოვნად და ეფექტიანად განხორციელება და თავად სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირება, თუმცა არსებითი მნიშვნელობისაა, რომ არსებული შეზღუდვა ემსახურებოდეს დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

29. ამასთანავე, მოსარჩელე მხარე მიუთითებს სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკულ შემთხვევებზე და განმარტავს, რომ გასაჩივრებული ნორმა, თავისთავად, გამორიცხავს განსხვავებული შემთხვევის არსებობის შესაძლებლობას, ამიტომ უმცროსი წოდების მქონე მოსამსახურე ზღვრული ასაკის მიღწევისთანავე კარგავს სამსახურს. კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა შემთხვევებში ხდებოდა უმცროსი წოდების მქონე მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლება, ხოლო პასუხად მიიღო, რომ კანონმდებლობა აღნიშნული პირების შემთხვევაში, არ იძლეოდა დისკრეციის შესაძლებლობას და, შესაბამისად, ზღვრული ასაკის მიღწევა გათავისუფლების ავტომატურ საფუძველს წარმოადგენდა ყველა შემთხვევაში. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევაზე, როდესაც გათავისუფლებული პირის ფუნქციები საერთოდ არ იყო ფიზიკური ხასიათის და იგი სამსახურიდან არა მათი არაჯეროვნად შესრულების, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, 60 წლის მიღწევის გამო იქნა გათავისუფლებული ყოველგვარი შეფასების გარეშე. მოსარჩელე მხარის განმარტებით, მაგალითად, ერთ-ერთი პირი, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა, იყო სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოს განყოფილების ინსპექტორი. მის ფუნქციებში შედიოდა დაწესებულებებისა და სხვა ობიექტების დაცვის სისტემის შექმნაში მონაწილეობის მიღება,



განყოფილების უფროსისათვის ინფორმაციის მიწოდება მატერიალური საშუალებების არსებობისა და მათი მდგომარეობის შესახებ, გარე დაცვის ობიექტებზე არსებული მდგომარეობის ყოველდღიური კონტროლის განხორციელება, განყოფილებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით წინადადებების წარდგენა, სამსახურისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილეობა და განყოფილების უფროსისათვის განცხადების წარდგენა მატერიალური საშუალებებით განყოფილების დასაკომპლექტებლად. აღნიშნული ფუნქციების განხორციელება არ მოითხოვს ისეთ განსაკუთრებულ ფიზიკურ მონაცემებს, რაც არ შეიძლება არ ჰქონდეს 60 წელს გადაშორებულ პირს.

30. მოსარჩელე მხარის განცხადებით, ადამიანების ფიზიკური უნარები ინდივიდუალურია და 60 წლის ასაკს მიღწეულ პირებს შორის შესაძლოა, მართლაც იყვნენ ისეთი პირები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მონაცემები არ შეესაბამება უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის ფუნქციებს, თუმცა 60 წლის ასაკის მიღწევა ავტომატურად არ ნიშნავს ფიზიკური მონაცემების დაქვეითებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. შესაბამისად, ამ ზღვრული ასაკის დაწესება ვერ იქნება მიჩნეული რაციონალურ შეზღუდვად. მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეების საქმიანობა შესაძლოა, მოითხოვდეს ისეთ ფიზიკურ მონაცემებს, რომელიც არ გააჩნია კონკრეტულ 60 წელს მიღწეულ პირს, თუმცა ამ შემთხვევაშიც, გათავისუფლების ლეგიტიმური საფუძველი იქნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან ფუნქციების არაჯეროვნად შესრულება, რომელიც დადასტურდებოდა შესაბამისი დასკვნით და იმ პირობებში, როდესაც ასეთ შესაძლებლობას თავად კანონიც ითვალისწინებს, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა ლოგიკას მოკლებულია.

31. მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიზანია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ასაკოვანი პირების დაცვა დისკრიმინაციისა და სტიგმატიზებისგან. ის ფაქტი, რომ ზოგადად ასაკის მატების თანმდევი შედეგია ადამიანის ფიზიკური ამტანობის შესუსტება და გარკვეული უნარების დაქვეითება, თავისთავად, ვერ გახდება ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების თვითკმარი საფუძველი. ამგვარი მიდგომა გაუმართლებლად ფართო სივრცეს დატოვებდა ასაკის ნიშნით ადამიანების დიფერენცირებისთვის, რაც, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში არ იყოს განპირობებული რაციონალური და ობიექტური საჭიროებით და, შედეგად, მოახდინოს გარკვეულ ზღვრულ ასაკს მიღწეული ადამიანების თვითმიზნური დისკრიმინაცია. შესაბამისად, კანონმდებელმა ხსენებული ურთიერთობები იმგვარად უნდა დაარეგულიროს, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი ასაკოვანი მოსამსახურეების უფლებებსა და კონკრეტული პოზიციის მახასიათებლებით განპირობებულ საჯარო ინტერესებს შორის, რაც სადავო შემთხვევაში არ ხდება.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა 60 წელს მიღწეულ პირებს დისკრიმინაციულად ეპყრობა და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებას.

33. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ ცნო №1605 კონსტიტუციური სარჩელი. მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებს არა ასაკობრივი ზღვრის დადგენა, არამედ ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირებისთვის კანონმდებლობით არ არსებობს უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების მექანიზმი, ასევე სადავო ნორმიდან შეუძლებელია იმის ამოკითხვა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ხორციელდება პირთა ინდივიდუალური შეფასება, რომელსაც შესაძლოა, დაეფუძნოს მათი სამსახურიდან დათხოვნა.

34. არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეული საჯარო დაწესებულების, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, სპეციალური დანაყოფის თანამშრომლები, თავიანთი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე, ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულებასთან და მოითხოვს გარკვეული ფიზიკური შესაძლებლობების ქონას, რაც მნიშვნელოვანია სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, მათი ფუნქციებია: პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა უსაფრთხოების დაცვა, დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა, გაყვანა, გადაყვანა, ექსტრადიცია, სპეციალური ღონისძიებების გამოყენება სტიქიური უბედურებების დროს, ასევე მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის უზრუნველყოფა და ა. შ. მითითებული სამუშაოები მოითხოვს როგორც ფიზიკურ აქტივობას, ასევე სხვა უნარ-ჩვევებსაც. სწორედ აღნიშნული გარემოება ქმნის სადავო ნორმით დადგენილი ასაკობრივი ცენზის გამოყენების ლეგიტიმურ საფუძველს, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქო-ემოციური



შესაძლებლობების დაქვეითებასთან, ბუნებრივი დაბერების პროცესთან.

35. სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია. დამატებით განმარტა, რომ ნორმატივებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემის სპეციალურ დანაყოფებში აბარებენ გარე დაცვისა და ესკორტირების სამსახურის მოსამსახურეები, რაც 2020 წლიდან საკანონმდებლო დონეზე არის გაწერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული წესი არ არის სავალდებულო ხასიათის, 2020 წლიდან დღემდე, მოსამსახურეებს ჯერ ნორმატივები არ ჩაუბარებიათ. ისინი მხოლოდ სამსახურში მიღების დროს აბარებენ აღნიშნულ ნორმატივებს.

36. სხდომაზე ექსპერტად მოწვეული ზურაბ კახაბრიშვილის განმარტებით, 55 წლის ასაკის პირი აღარ არის ახალგაზრდა და მას უქვეითდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები. როგორც წესი, 30 წლის და 55 წლის ასაკს მიღწეული პირების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. 55 წლის ასაკს მიღწეულ პირს უქვეითდება შესაძლებლობა, განახორციელოს იგივე სამუშაო, იმავე ტემპში და დატვირთვით, რასაც 30 წლის ასაკში შეძლებდა. ბუნებრივია, არ არის გამორიცხული, რომ 55 წლის ასაკის ადამიანი წარმატებით გაართვას თავი მეხანძრე-მაშველის ფუნქციების შესრულებას, თუმცა საეჭვოა ამას რამდენად შეძლებს ყოველდღიურად.

37. ექსპერტის განმარტებით, საშუალოდ, 100 ადამიანიდან შესაძლებელია, 20-30%-მა შეინარჩუნოს ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები, რაც საჭიროა მეხანძრე-მაშველის ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომ, უმჯობესი იქნება, ზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ ინდივიდუალურად განხორციელდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების გამოკვლევა და შემდეგ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

38. სხდომაზე მოწვეული ექსპერტის, ირინა ანდრონიკაშვილის განცხადებით, 30 წლიდან იწყება დაბერების პროცესი და ყველა ორგანო ყოველი წლის განმავლობაში კარგავს თავისი ფუნქციის 1%-ს, თუმცა ძნელია იმ გარკვეული ასაკის აღება, რომელთან მიმართებითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ასაკიდან ადამიანს რაღაც ფუნქცია საერთოდ ეკარგება. უფრო მეტიც, ყველა ადამიანში დაბერების პროცესი და ფუნქციების დაქვეითება მიმდინარეობს განსხვავებული ინტენსივობით და განსხვავებულ ასაკში. იგივე ხდება გონებრივი მონაცემების შემთხვევაში. ზოგიერთ ადამიანში მენტალური დისფუნქცია ვლინდება ადრეულ ასაკში, ზოგიერთში კი 90 წლის ასაკშიც არ ვლინდება. შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, რომ 55 წლის ასაკის ადამიანებში იმდენად ქვეითდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური/მენტალური მდგომარეობა, რომ მათი უმეტესობა ვერ შეასრულებს მეხანძრე-მაშველისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

39. ექსპერტის განმარტებით, შესაძლებელია 30 წლის ასაკის პირმა ვერ შეძლოს ისე გაართვას თავი მეხანძრე-მაშველისთვის დაკისრებულ ფუნქციებს, როგორც 55 წლის ან მეტი ასაკის მქონე პირმა. უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ ფორმაშია ფიზიკურად ადამიანი. თუ პირი მთელი ცხოვრების მანძილზე გადის ფიზიკურ მომზადებას და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს, მათ ვერ შევადარებთ იმავე ასაკის სხვა პირებს, რომლებიც ამგვარი ცხოვრების წესით არ ცხოვრობენ. შესაბამისად, ექსპერტის შეფასებით, 55 წლის ზღვრულ ასაკად განსაზღვრა არარაციონალურია და თითოეული პირის შესაძლებლობები ზღვრული ასაკის მიღწევისას ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, შესაბამისი ნორმატივების ჩაბარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის გზით.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუცილებელია თითოეულ მათგანში მითითებულ დავის საგანთან მიმართებით ინდივიდუალური მსჯელობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელებს ცალ-ცალკე შეაფასებს.

1. №1591 კონსტიტუციური სარჩელი – სადავო ნორმებში განხორციელებული რედაქციული ცვლილება

2. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს შინაგან საქმეთა



მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვის შემდგომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2022 წლის 6 სექტემბრის კანონით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მოსამსახურე (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან შემოწმების გავლის შედეგად, უარყოფითი შეფასების მიღების გამო. ამასთანავე, საქმის არსებითი განხილვის შემდგომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 6 მაისის №48 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ცვლილება ზემოხსენებული წესის 41-ე მუხლში. კერძოდ, აღნიშნული ცვლილების თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

4. საყურადღებოა, რომ ახლად ჩამოყალიბებული რედაქციის ფარგლებში დასახელებულმა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე დებულებებმა მუხლების შესაბამისი პუნქტებისა და ქვეპუნქტების მითითებით, გააფართოვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) სამსახურიდან გათავისუფლების შესაბამისი საფუძველები, თუმცა განხორციელებული ცვლილება არ შეეხება სადავო ნორმას და მოსარჩელისთვის პრობლემატური ნორმატიული შინაარსი კვლავ ძალაშია.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ მოსარჩელისთვის პრობლემატური იყო ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლებას ზღვრული ასაკის, 55 წელს მიღწევის გამო. განსახილველ შემთხვევაში, არსებითი განხილვის შემდეგ განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სადავო ნორმატიული შინაარსი არ შეცვლილა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მათ კონსტიტუციურობას შეაფასებს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

1.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების სფერო

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

7. დასახელებული კონსტიტუციური დებულება ადგენს თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის



ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2). თანასწორობის უფლების ძირითადი არსი და მიზანია, ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოპყროს ერთნაირად და არ დაუშვას არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირება (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

8. ამდენად, „საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შეზღუდვა სახეზე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმა გულისხმობს, მსგავს ვითარებაში მყოფი, არსებითად თანასწორი პირებისადმი განსხვავებულ მოპყრობას, უქმნის მათ განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებითა თუ ვალდებულებებით, აგრეთვე, საპირისპირო შემთხვევაში, კერძოდ, მაშინ, როდესაც ნორმა გულისხმობს, განსხვავებულ ვითარებაში მყოფი, არსებითად უთანასწორო პირებისადმი ერთგვაროვან მოპყრობას, მათ მიმართ ავრცელებს ერთნაირ სამართლებრივ რეჟიმს. თუმცა ერთგვაროვან ვითარებაში განსხვავებული მოპყრობის ანდა განსხვავებულ ვითარებაში ერთგვაროვანი მოპყრობის ფაქტები, ჯერ კიდევ, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს კონსტიტუციის მე-11 მუხლით აკრძალული დისკრიმინაციის აღიარებისათვის. ამისათვის აუცილებელია, დადგინდეს, რომ შესაბამის შემთხვევებში, განსხვავებული ანდა ერთგვაროვანი მოპყრობა არ იყო გამართლებული, არ გააჩნდა შესაბამისი ობიექტური და გონივრული საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/1/1404 გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-44).

1.2. სადავო ნორმების შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

9. სადავო ნორმებით დადგენილია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უმცროსი სპეციალური წოდების მოსამსახურეების თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი როგორც თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი, ამასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უმცროსი სპეციალური წოდების მოსამსახურეების ზღვრულ ასაკად განსაზღვრულია 55 წელი. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები დისკრიმინაციულია, ვინაიდან დასახელებულ თანამდებობებზე დასაქმებულ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, ერთი მხრივ, 55 წლამდე და, მეორე მხრივ, 55 წელს გადაცილებულ პირებს უწყესებს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს.

10. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებისთვის 55 წელს შეადგენს, ხოლო ამავე კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა თანამდებობიდან გათავისუფლების ან/და სამსახურიდან დათხოვნის საფუძველად მიუთითებს ზღვრული ასაკის მიღწევას.

11. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №24 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შედგება სტრუქტურული დანაყოფებისგან, რომლებშიც მუშაობენ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, საჯარო მოსამსახურეები, სამოქალაქო პირები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ამავე ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფია სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირი არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში დასაქმებული მოსამსახურე, რომელსაც კანონითა და ამ წესის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სამოქალაქო უსაფრთხოების



სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეები არიან სახელმწიფო წოდების მქონე პირები და კანონით მინიჭებული აქვთ სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალური წოდება. „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში (საქართველოს სასაზღვრო პოლიციის გარდა) უმცროსი სპეციალური წოდების ქვეშ ერთიანდებიან – რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი. შესაბამისად, სადავო ნორმით განსაზღვრული უმცროსი სპეციალური წოდების ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების სხვადასხვა წოდების მქონე მოსამსახურეები.

12. №1591 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს გორის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს I სახანძრო-სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველი/მძღოლი/სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ნორმა ადგენს ზღვრულ ასაკს – 55 წელს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის მეხანძრე-მაშველისთვის, რომელსაც აქვს სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტის წოდება. სადავო ნორმის შინაარსიდან ცხადია, რომ მის საფუძველზე, 55 წელს მიღწეული და 55 წელს მიუღწეველი მოქალაქეების მიმართ განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი არის დადგენილი. კერძოდ, 55 წლის ასაკს მიღწეული პირები, ერთი მხრივ, კარგავენ უფლებას, რომ დაიკავონ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის მეხანძრე-მაშველის თანამდებობა სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტის წოდებით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მიმართ არსებობს თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. ამგვარი, ასაკზე მიბმული საფუძველი არ არსებობს 55 წელს მიუღწეველ პირებთან მიმართებით. შესაბამისად, სახეზეა შესაძარებელ ჯგუფებს შორის დიფერენცირებული მოპყრობა.

13. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად კონსტიტუციურია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის სამოქალაქო უსაფრთხოების სერჟანტისთვის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკად 55 წლის განსაზღვრა.

1.3. შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება

1.3.1. შეფასების ტესტი

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, დემოკრატიულ სახელმწიფოში, მისი შეზღუდვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

15. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დიფერენცირების არსებობის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში. მისი დისკრიმინაციულობის მასშტაბი იდენტური არ არის და დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის თავისებურებებზე. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010



წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას – სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/603 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8).

16. სადავო ნორმებით გათვალისწინებული ზღვრული ასაკის მიღწევის შემთხვევაში, პირი თავისუფლდება მეხანძრე-მაშველის თანამდებობიდან. ასაკი არის ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც სადავო ნორმა უკავშირებს ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე საქმიანობის გაგრძელების უფლებას. შესაბამისად, ამკარაა, რომ შესაძარებელ (55 წელს მიღწეულ და მიუღწეველ) პირებს შორის განსხვავებული მოპყრობა სწორედ ასაკის ნიშნით ხორციელდება. ასაკი არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დიფერენცირების ნიშანს, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენების პირველი წინაპირობა.

17. ვინაიდან, სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება არ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კლასიკურ ნიშანს, სასამართლოს მიერ მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენება დამოკიდებულია დიფერენცირების ინტენსივობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, „დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/522,553 საქმეზე „სპს „გრიმა ამორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

18. ამდენად, მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად. ამდენად, სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა არის თუ არა რაციონალურ კავშირში მოპასუხე მხარის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ საჯარო მიზნებთან.

1.3.2. ლეგიტიმური მიზანი

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-15). შესაბამისად, უპირველესად, უნდა დადგინდეს საჯარო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.

20. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დაცვას. მოპასუხე მხარემ, ზემოხსენებულ ლეგიტიმურ მიზანთან



ერთად, ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ემსახურება თაობათა შორის როტაციის პრინციპის უზრუნველყოფასაც, რათა მოხდეს მათ შორის სამუშაო ადგილების სამართლიანად გადანაწილება.

21. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „ზოგადად, ამა თუ იმ დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება, პირების კვალიფიკაციისა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაფერისობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა, ეფექტიანი მართვისკენ მიმართულ ღონისძიებას წარმოადგენდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21). საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. აღნიშნული ინტერესის დაცვა, შესაძლებელია, ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევად კანონმდებელი უფლებამოსილია, შეზღუდოს საჯარო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლება. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული საჯარო ინტერესი გამოდგება სადავო ნორმებით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვის დაწესების ლეგიტიმურ მიზნად და დასახელებული მიზნის მისაღწევად კანონმდებელი უფლებამოსილია, დაადგინოს დიფერენცირებული მოპყრობა.

22. რაც შეეხება თაობათა შორის ადგილების სამართლიან გადანაწილებას, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია ისეთი სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც ახალგაზრდებისთვის გამოათავისუფლებს სამუშაო ადგილებს. ახალგაზრდა თაობას უნდა ჰქონდეს შრომის ბაზარზე თავისუფალი წვდომა. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება საჯარო სამსახურში. ამდენად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს საჯარო თანამდებობის განხორციელების გონივრული საფუძვლები, რომლებიც ხელს შეუწყობს პირთა თანაბარ წვდომას საჯარო თანამდებობაზე.

23. საჯარო სამსახურში დაბალანსებული ასაკობრივი სტრუქტურის არსებობა განაპირობებს საჯარო სამსახურის განსხვავებული და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე ინდივიდებით დაკომპლექტებას, რაც ახალი იდეებისა და გამოცდილების ხელშეწყობას ისახავს მიზნად და, საბოლოო ჯამში, ემსახურება დაწესებულების საქმიანობის ხარისხის ამაღლებას. ამასთანავე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცდილი მოსამსახურის მიერ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ახალბედა მოსამსახურისთვის ხელს უწყობს მას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის სახელმწიფოს შეუძლია, ასაკობრივი ზღვრის დადგენით შეზღუდოს როგორც საჯარო თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლება, ასევე ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად დაადგინოს ობიექტურად გამართლებული დიფერენციაცია. ამდენად, ზოგადად, მოპასუხის მიერ მითითებული – თაობათა შორის როტაციის საჯარო ინტერესი, აგრეთვე გამოდგება სადავო ნორმებით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვის დაწესების ლეგიტიმურ მიზნად.

1.3.3. გამოსადეგობა და აუცილებლობა

24. ლეგიტიმური მიზნის არსებობასთან ერთად, აუცილებელია, არსებობდეს ლოგიკური კავშირი გამოყენებულ უფლებამდებელ ღონისძიებასა და ლეგიტიმურ საჯარო მიზანს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ შეზღუდვა არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალება და უფლება შეიზღუდა უმიზნოდ, რაც მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველია. „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48).

25. პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, „გამოსადეგობასთან ერთად



შემზღვევლი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღვევის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებად მზღვევლ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. აუცილებლობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი იმავე ეფექტურობით ვერ მიიღწევა სხვა, ნაკლებად მზღვევლი საშუალებით. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ღონისძიებას ზემოთ დასახელებული რომელიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაღებ საშუალებად მიიჩნევს, იგი შეაფასებს, ზღვრული ასაკის დადგენა რამდენად წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და ხომ არ არსებობს იმავე ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად უფლების სხვა, უფრო ნაკლებად მზღვევლი საშუალება.

(ა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება

26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი სადავო ნორმით გათვალისწინებულ შეზღუდვასა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების საჯარო ინტერესს შორის. მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმებით 55 წელს მიღწეული პირებისათვის მეხანძრე-მაშველის თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ემსახურება მიზანს, რომ ამ თანამდებობაზე საქმიანობა განახორციელონ შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების მქონე პირებმა.

27. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენციაციის ობიექტურობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკა და ის ფუნქციები, რისი განხორციელებაც უწყვეტ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები განისაზღვრება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 მარტის №24-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით“. ზემოაღნიშნული კანონის 39-ე მუხლისა და დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ფუნქციონირებას, პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე და უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეს, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უფლებამოსილების მქონე პირებზე განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეები, რომლებიც არიან სახელმწიფო წოდების მქონე პირები და კანონით მინიჭებული აქვთ სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალური წოდება.

28. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტში, მეხანძრე-მაშველის შტატზე მიიღებიან 18 წლის ასაკს მიღწეული პირები, რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი ან უმაღლესი განათლება და აუცილებელია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინება. „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153-ე დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-13 მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია მეხანძრე-მაშველისათვის დაკისრებული ზოგადი ვალდებულებები. მეხანძრე-მაშველი ვალდებულია: ა) მზად იყოს საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად, სრულყოფილი თავისი ფიზიკური, თეორიული, სპეციალური და ფსიქოლოგიური მომზადება; ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს დახმარება განსაცდელში მყოფ ადამიანებს; გ) განახორციელოს დაზარალებულთა მოძიება, მიიღოს ზომები მათ გადასარჩენად, აღმოუჩინოს მათ პირველადი და სხვა სახის დახმარება; დ) საგანგებო სიტუაციის შედეგების



სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისას დაიცვას სამაშველო სამუშაოების ჩატარების ტექნოლოგია, შეასრულოს რეაგირების ძალების ხელმძღვანელობის ბრძანებები; ე) მოსახლეობას განუმარტოს უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით და მისი წარმოშობის შემთხვევაში – აუცილებელი მოქმედების თანმიმდევრობის შესახებ; ვ) დაიცვას უსაფრთხოების წესები სამუშაოთა შესრულებისას; ზ) შეასრულოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.

29. აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო-საექიმო და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 მაისის №69-ე ბრძანების შესაბამისად, სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები ექვემდებარებიან ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მაღალ მოცულობას, რაც ცხადყოფს, რომ სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ, მათი თანამდებობიდან გამომდინარე, უფრო მაღალი სტანდარტები მოქმედებს სამედიცინო თვალსაზრისით, ვიდრე სხვა მოსამსახურეების მიმართ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, მეხანძრე-მაშველებს ფიზიკური მომზადების დონის შემოწმებისას, სხვა მოსამსახურეებთან შედარებით, მეტი ფიზიკური დატვირთვის უფრო შემჭიდროებულ ვადაში განხორციელების ვალდებულება გააჩნიათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახანძრო-სამაშველო ფუნქციების განხორციელება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული როგორც თავიანთი, აგრეთვე, გუნდის სხვა წევრებისა და, ზოგადად, მოქალაქეთა უსაფრთხოება. სწორედ აღნიშნულის გამო, მეხანძრე-მაშველების შემთხვევაში, სხვა მოსამსახურეებთან შედარებით, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე ფიზიკური დონის შემოწმების ფარგლები გაცილებით ფართოა.

30. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მეხანძრე-მაშველის ფუნქციების შესრულება, ძირითად შემთხვევაში, მოითხოვს ფიზიკური ძალის გამოყენებას. მეხანძრე-მაშველის შტატზე დანიშნული პირი ახორციელებს ხანძრის ჩაქრობას, ატარებს საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო სამუშაოებს, ახორციელებს საგანგებო სიტუაციების პრევენციას და მასზე რეაგირებას, მართავს და ორგანიზებას უწევს ამ ღონისძიებებს. შესაბამისად, მათ სჭირდებათ განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. ამდენად, ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, აშკარაა, რომ მეხანძრე-მაშველის უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. შესაბამისად, ამ კონტექსტში, აუცილებელია, დადგინდეს, რა გავლენას ახდენს 55 წლის ასაკის მიღწევა ადამიანის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასაკის მატება ზეგავლენას ახდენს ადამიანის შრომით უნარებზე, განსაკუთრებით მის ფიზიკურ შესაძლებლობებზე. შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად, ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება რთულდება, გარკვეულ შემთხვევებში კი შეუძლებელიც ხდება. ბუნებრივია, არსებობს ინტერესი, რომ ესა თუ ის სახელმწიფო ფუნქცია სათანადოდ განხორციელდეს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, გონივრული იყოს გარკვეული პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა თუ თანამდებობის დაკავების შესაძლებლობის ასაკით შემოფარგვლა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22).

32. ამავდროულად, ამა თუ იმ თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება, მათ შორის, ასაკობრივი ზღვრების დადგენა, არ უნდა მოხდეს გაუაზრებლად და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ასაკის თანმდევი შედეგები. „ის ფაქტი, რომ ზოგადად ასაკის მატების თანმდევი შედეგია ადამიანის ფიზიკური ამტანობის შესუსტება და გარკვეული უნარების დაქვეითება, თავისთავად, ვერ გახდება ასაკთან დაკავშირებული ნებისმიერი ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების თვითკმარი საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23). „იმისათვის, რათა ამა თუ იმ თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის განხორციელებისათვის ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება რაციონალურად იქნეს მიჩნეული, კანონმდებელი, პირველ რიგში, ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ კონკრეტული საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც წესი, განსაზღვრული ასაკის პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს დაკისრებული ფუნქციების შესრულებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო



სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24).

33. საქმეზე ექსპერტად მოწვეული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ირინე ანდრონიკაშვილის განმარტებით, 55 წელი, თავისთავად, არ უნდა ჩაითვალოს იმ ასაკად, რომლის მიღწევის შემდგომაც, ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა გარდაუვლად უარესდება. მეტიც, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლოა, 55 წლის ასაკის ადამიანს უკეთესი ფიზიკური მონაცემები ჰქონდეს, ვიდრე გაცილებით ახალგაზრდა პირს. ყველა ადამიანში დაბერების პროცესი და ფუნქციების დაქვეითება მიმდინარეობს განსხვავებული ინტენსივობით, განსხვავებულ ასაკში. იგივე ხდება გონებრივი მონაცემების შემთხვევაში. ზოგიერთ ადამიანში მენტალური დისფუნქცია ვლინდება ადრეულ ასაკში, ზოგიერთში კი 90 წლის ასაკშიც არ ვლინდება. შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, რომ 55 წლის ასაკის ადამიანებში იმდენად ქვეითდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური/მენტალური მდგომარეობა, რომ მათი უმეტესობა ვერ შეასრულებს მეხანძრე-მაშველისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. სხდომაზე ექსპერტად მოწვეული ზურაბ კახაბრიშვილის განმარტებით, საშუალოდ, 55 წლის ასაკს მიღწეული 100 ადამიანიდან, შესაძლებელია, მხოლოდ 20-30%-მა შეინარჩუნოს ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები, რაც საჭიროა მეხანძრე-მაშველის ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომ, უმჯობესი იქნება, ზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ ინდივიდუალურად განხორციელდეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების გამოკვლევა და შემდეგ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ 55 წლის ასაკს მიღწეულ პირთა უმრავლესობას ექნება იმგვარი ფიზიკური უნარები/მონაცემები და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ ისინი სრულფასოვნად შეძლებენ იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც საჭიროებს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას.

35. მეორე მხრივ, როგორც სხდომაზე მოწვეული ექსპერტებისგან ირკვევა, ადამიანის ფიზიკური უნარები ინდივიდუალურია და 55 წლის ასაკს მიღწეულ პირებს შორის შესაძლოა, მართლაც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მონაცემები სრულად შეესატყვისება მეხანძრე-მაშველის ფუნქციებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ის ფაქტი, რომ გარკვეულ ასაკში მყოფ პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს საქმიანობის სათანადოდ განხორციელებას, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ყველა სხვა პირის ასეთად მიჩნევას. ამდენად, ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება არარაციონალური იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ პირის თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გონივრულ ფარგლებში არის შესაძლებელი მათი უნარების ინდივიდუალური შეფასების შედეგად. შესაბამისად, ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, კანონმდებელი ასევე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ შეუძლებელია ან/და არაგონივრულია პირთა უნარების ინდივიდუალური შეფასება და თანამდებობის დაკავების საკითხის მის საფუძველზე გადაწყვეტა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25). ამრიგად, უნდა დადგინდეს, რამდენად არის შესაძლებელი მეხანძრე-მაშველისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარების ინდივიდუალური შეფასება და თანამდებობის დაკავების საკითხის მის საფუძველზე გადაწყვეტა.

36. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოსამსახურედ მიიღება პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით, შეუძლია დაკისრებული ფუნქციების შესრულება. ამავე კანონის 52-ე მუხლი ადგენს მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველებს, რომლის თანახმადაც, მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო. ამრიგად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საქმიანობის განმახორციელებელი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების შემოწმების აუცილებლობა არსებობს მისი ასაკის მიუხედავად. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ მეხანძრე-მაშველებს პერიოდულად უტარდებათ შიდა შემოწმება, რომლის მეშვეობითაც მოწმდება პირის შესაბამისობა მეხანძრე-მაშველის თანამდებობასთან. აქედან



გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც გარკვეული პერიოდულობით ტარდება მეხანძრე-მაშველის შემოწმება, შესაძლებელია, ამგვარ შემოწმებას დაექვემდებარონ როგორც 55 წელს მიუღწეველი, ისე – 55 წელს მიღწეული პირები. მეხანძრე-მაშველის საქმიანობის განმახორციელებელი პირების შემოწმებისა და, ამ გზით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის შესაძლებლობა არსებობს როგორც 55 წელს მიუღწეველი, ისე – 55 წელს მიღწეული პირების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი სამედიცინო ცნობის/დასკვნის არსებობისას სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს, საკუთარი სურვილით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თანხმობით, გაუგრძელდეს სამსახურში ყოფნის ვადა ზღვრული ასაკის ზევით არა უმეტეს 5 წლისა. საქმეზე მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, ხდება პირის ფიზიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და, აღნიშნული შემოწმების საფუძველზე, სათანადო გადაწყვეტილების მიღება. მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი 2019-2021 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საერთო ჯამში, 263 ადამიანს შეუსრულდა მეხანძრე-მაშველისთვის დადგენილი ზღვრული ასაკი, საიდანაც 100 ადამიანს გაუგრძელდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა. შესაბამისად, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მეხანძრე-მაშველების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მიაღწიეს ზღვრულ ასაკს, აქვთ უნარი განახორციელონ მათზე დაკისრებული ფუნქციები, რის გამოც მათ მიმართ გამოყენებულ იქნა საკანონმდებლო მექანიზმი უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების შესახებ. შესაბამისად, კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად, მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი ფუნქციების გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა, საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, გონივრული და დასაშვებია.

37. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით დადგენილი ბლანკეტური შეზღუდვა, რომელიც არ ითვალისწინებს პირთა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველად ბლანკეტურად განსაზღვრავს 55 წლის მიღწევას, არ არის რაციონალურ კავშირში დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანთან. ამდენად, სადავო რეგულაცია არ წარმოადგენს გამოსადეგ საშუალებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამართული და ეფექტური ფუნქციონირების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

(ბ) როტაციის პრინციპის უზრუნველყოფა

38. სადავო ნორმებით თაობათა შორის სამუშაო ადგილების სამართლიანი გადანაწილების ლეგიტიმური ინტერესის მიღწევის ეფექტიანობის შეფასებისას კი, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლებელია, არსებობდეს თაობათა შორის სამუშაო ადგილების გადანაწილების სხვა ეფექტიანი საშუალებაც, თუმცა აღნიშნული ვერ გახდება სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის არაგონივრულ საშუალებად მიჩნევის საფუძველი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40).

39. მნიშვნელოვანია, რომ სადავო ნორმები ადგენს უმცროსი სპეციალური წოდების მქონე მეხანძრე-მაშველების თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკს. შესაბამისად, აღნიშნული პირები, სადავო ნორმებით განსაზღვრული ასაკის მიღწევისას თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, რაც ხელს უწყობს შესაბამის თანამდებობაზე ვაკანტური ადგილების გამოთავისუფლებას/შექმნას და იძლევა ახალი კადრების მიღების შესაძლებლობას. ბუნებრივია, რომ პირის უვადოდ განწესება თანამდებობაზე დროში აფერხებს ახალი კადრების მიღების შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო სამსახურის უმეტესობაში თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა წინასწარ არის განსაზღვრული და ფიქსირებულია თანამდებობებზე სამუშაო ადგილების ოდენობა. მოპასუხე მხარის განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა დადგენილია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, აღნიშნული მოწესრიგების პირობებში, სახელმწიფოს მიერ თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკის განსაზღვრა უზრუნველყოფს ამ თანამდებობაზე ახალი კადრებისთვის ადგილების გამოთავისუფლებას.

40. ამასთანავე, №1591 კონსტიტუციურ სარჩელზე მოპასუხე მხარის განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა დადგენილია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით და მისი ცვლილება დაკავშირებულია ახალი საბიუჯეტო სახსრების მოძიებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, დამკვიდრებული



პრაქტიკით, საბიუჯეტო რესურსის ოპტიმალური ხარჯვის ინტერესს არ მიიჩნევს არსებითად თანასწორ პირთა მიმართ დიფერენცირების გამართლების თვითკმარ არგუმენტად. „დიფერენცირების გამართლებისათვის უნდა დასაბუთდეს არა მხოლოდ ის, რომ რესურსი არასაკმარისია ყველასათვის, არამედ ასევე უნდა წარმოჩინდეს, თავად დიფერენცირების რაციონალურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №1/6/1320 გადაწყვეტილება საქმეზე „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-36).

41. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეჭვგარეშეა, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა განხორციელდეს რაციონალურად, პრიორიტეტების სწორად გადანაწილების და თითოეული მოქალაქის ინტერესების, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით, ვინაიდან ქვეყნის საბიუჯეტო სახსრების სწორად და საჭიროებისამებრ გადანაწილება დიდწილად განაპირობებს ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის №1/11/629,652 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-35). ამდენად, დაუშვებელია სახელმწიფოს დავალდებულება, გასწიოს არაგონივრული ხარჯები. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის ინტერესისთვის საფრთხის შექმნა, თავისთავად, ვერ იქნება მოაზრებული ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ნაწილად. შესაბამისად, სახელმწიფო უფლებამოსილია, კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში დაასაქმოს იმდენი კადრი, რამდენის ყოლის ობიექტური საჭიროებაც არსებობს საჯარო დაწესებულების ეფექტიანად და შეუფერხებლად საქმიანობისთვის. საჯარო დაწესებულების ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად დადგენილი სადავო ღონისძიება გამართლებული შეიძლება იყოს, როდესაც არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმები ადამიანის უფლებათა თვითნებური შეზღუდვის პრევენციისთვის. მასასადამე, სახელმწიფოს დავალდებულება, გაზარდოს თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა მაშინ, როდესაც არ დგას აღნიშნულის საჭიროება, იწვევს ბიუჯეტის არაგონივრულ ხარჯვას და შესაძლებელია, აფერხებდეს კიდევ საჯარო დაწესებულების ეფექტიანად და გამართულად ფუნქციონირებას. ამავდროულად, თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობის გაზრდის დავალდებულების შემთხვევაშიც კი, თუ არ იარსებებს უკვე დასაქმებული თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, დროში მნიშვნელოვნად შეფერხდება თაობათა შორის პერიოდული როტაცია.

42. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით, ზღვრული ასაკის მიღწევის გარდა, დადგენილია მოსარჩეელების თანამდებობიდან გათავისუფლების სხვა საფუძველებიც, მაგრამ აღნიშნული საფუძველები შეიძლება წარმოიშვას იშვიათ და ერთეულ შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ თაობათა შორის ადგილების სამართლიანი განაწილების პრინციპი მოითხოვს, ყოველგვარი ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ზღვრული ასაკის მიღწევისას პირი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

43. შესაბამისად, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო სამსახურიდან გათავისუფლება ინდივიდუალური შეფასების საკანონმდებლო მექანიზმისა და უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობის არსებობის პირობებში, მართალია, იწვევს ყველა ასეთი პირის (რომლებიც მიაღწევნ აღნიშნულ ზღვრულ ასაკს) სამსახურიდან გათავისუფლებას და ახალი ვაკანტური შტატის გამოთავისუფლების შესაძლებლობას, თუმცა სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ის, რომ ზემოხსენებული ცირკულარული ცვლა ბუნებრივად დამახასიათებელია როტაციის პრინციპის უზრუნველსაყოფად.

44. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ფიქსირებული ასაკობრივი ზღვრის დადგენა წარმოადგენს ეფექტიან, გამოსადეგ და ვარგის საშუალებას თაობათა შორის როტაციის პრინციპის უზრუნველსაყოფად და არ არსებობს უფლების სხვა, უფრო ნაკლებად მზღლდავი საშუალება, რომელიც იმავე ეფექტიანობით უზრუნველყოფდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.



1.3.4. ვიწრო პროპორციულობა

45. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა თაობათა შორის როტაციის პრინციპის უზრუნველსაყოფად გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებად მიიჩნია. აღნიშნულ ეტაპზე სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არის დაცული სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, პირის ინტერესი, არ იქნეს გათავისუფლებული თანამდებობიდან კონკრეტული ასაკის მიღწევის გამო და, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესი, რომელიც გულისხმობს თაობათა შორის სამუშაო ადგილების სამართლიანად გადანაწილებას. აუცილებელია, მოხდეს აღნიშნული ორი ინტერესის სამართლიანი დაბალანსება. ამდენად, ახალგაზრდა თაობას უნდა ჰქონდეს წვდომა საჯარო თანამდებობაზე, თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს მიღწეული უფროსი თაობის უფლებების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.

46. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია პირის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური უფლება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი ადგენს ყოველი მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა საჯარო სამსახურზე და, ამასთან, გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19).

47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებულ უფლებას დემოკრატიულ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და სახელმწიფო მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის უშუალო ჩართულობას უზრუნველყოფს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო თანამდებობაზე საქმიანობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სეგმენტს. მისი სპეციფიკურობა, უპირველესად, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში, დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო. დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შრომითი ურთიერთობების ერთობლიობა, გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფო რესურსს, რომელზე წვდომაც თითოეულ მოქალაქეს თანაბრად უნდა გააჩნდეს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). სადავო ნორმები ზღვრული ასაკის მიღწევისას ადგენს თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვით, ერთი მხრივ, პირს ერთმევა თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული ასაკის მიღწევა არის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი, რითაც იზღუდება კონსტიტუციის გარანტირებული, საჯარო თანამდებობის შეუფერხებლად განხორციელების უფლება. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაციით, სახელმწიფო, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საჯარო სამსახურზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ზღუდავს დასაქმებული პირის უფლებას, შეუფერხებლად განახორციელოს საჯარო თანამდებობა.

48. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე განმარტა, თუ რა ფუნქციების განხორციელება აკისრია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და რა როლს ასრულებს ის სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში (იხ., სამოტივაციო ნაწილის 26-ე და 27-ე პუნქტები). საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მათი როლის გათვალისწინებით, სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული ინტერესი, უზრუნველყოს აღნიშნული სამსახურის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთე, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, აგრეთვე, ზიანი მიადგეს გარემოსა და ქონებას. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ მხრივ, ასევე დაადგინა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის მოსამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული პირის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (იხ., სამოტივაციო ნაწილის 29-ე პუნქტი). ამდენად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ სამსახურში მუდმივად ხდებოდეს კადრების როტაცია, რაც სამსახურში



ახალგაზრდა პირების შედინებას უწყობს ხელს. როტაციის პრინციპი სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს მექანიზმს, ახალგაზრდა კადრების დასაქმებით ხელი შეუწყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეფექტურად და შეუფერხებლად ფუნქციონირებას. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაბალანსებული ასაკობრივი სტრუქტურის არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდეს მეხანძრე-მაშველთათვის ფუნქციების გადანაწილება საგანგებო სიტუაციაზე ეფექტურად და სწრაფად რეაგირების მიზნით. აღსანიშნავია ის, რომ ასაკობრივი ზღვრის დადგენის გარეშე მნიშვნელოვნად რთულდება იმის განჭვრეტა, თუ როდის ან რამდენი პირის მიმართ წარმოიშობა სამსახურიდან გათავისუფლების საჭიროება, რამაც შესაძლებელია, დროში შეაფერხოს ასეთი კადრების ჩანაცვლება და ხელი შეუშალოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეფექტურ ფუნქციონირებას, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა აღნიშნული სამსახურისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა შესაბამის გადამზადებას მოითხოვს, რაც, თავისთავად, გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. ამდენად, ზღვრული ასაკის დადგენით, უფრო ეფექტურად არის უზრუნველყოფილი კადრების როტაციის პრინციპი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

49. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს. ამგვარად, სახელმწიფო უზრუნველყოფს, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის შესაბამის სოციალურ გარანტიას იმ შემთხვევისთვისაც, თუ მისი დათხოვნა ემსახურება თაობათა შორის ადგილების სამართლიანი გადანაწილების პრინციპის უზრუნველყოფას.

50. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მეხანძრე-მაშველის სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკად 55 წლის განსაზღვრა, აშკარად არაგონივრული არ არის. ამავდროულად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ხდებოდეს აღნიშნულ სამსახურში კადრების პერიოდული როტაცია, რასაც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის განსაზღვრა. ამდენად, სადავო ნორმებით დადგენილია გონივრული ბალანსი შეზღუდვის შედეგად შელახულ უფლებასა და დაცულ ინტერესს შორის. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ №1591 კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2. №1605 კონსტიტუციური სარჩელი:

51. წინამდებარე საქმეზე სადავოა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

52. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხემ, საქართველოს პარლამენტმა ცნო №1605 კონსტიტუციური სარჩელი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოპასუხე უფლებამოსილია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს კონსტიტუციური სარჩელი. იმავდროულად, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის ავტომატურად დაკმაყოფილების საფუძველს. შესაბამისად, ... საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, გააგრძელოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება და გადაწყვიტოს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის №1/5/505 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). ამგვარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის პოზიციის მიუხედავად, შეაფასებს სადავო ნორმების კონსტიტუციურობას.

53. საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილების სამოტივაციო



ნაწილის მე-5-მე-7 პუნქტებში უკვე იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს №1605 კონსტიტუციური სარჩელის სადავო ნორმების შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებაზე.

2.1. სადავო ნორმების შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

54. №1605 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლებული 60 წელს მიღწეული პირი იყო პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის, კერძოდ, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მოსამსახურე, ინსპექტორი და მინიჭებული ჰქონდა ზემდეგის წოდება. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამსახურეს, რომელსაც უმცროსი სპეციალური წოდება აქვს, შეუძლია სამსახურში 60 წლის ჩათვლით იმსახუროს“. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას სამსახური უზრუნველყოფს სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მეშვეობით. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №366 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალური დანაყოფი აერთიანებს პენიტენციურ დაწესებულებებს (მათ სტრუქტურულ ერთეულებსა და ყველა მოსამსახურეს), ასევე, იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებათა ერთიანი მართვის, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, უსაფრთხოების დაცვის, უსაფრთხოების სპეციალური ღონისძიებების გატარების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანის/გადაყვანის და ექსტრადიციის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, შესაბამისი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის უზრუნველყოფისაკენ. ამავე მუხლის 2¹ პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალურ დანაყოფებს მიეკუთვნება სამსახურის შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები: ა) პენიტენციური დეპარტამენტი და ბ) მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი. თავის მხრივ პენიტენციური დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: ა) უსაფრთხოების მთავარი სამმართველო; ბ) გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველო და გ) ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველო. „სახელმწიფოს სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 3² პუნქტის შესაბამისად კი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალურ დანაყოფსა და სამოქალაქო დანაყოფის მონიტორინგის დეპარტამენტში უმცროს სპეციალურ წოდებას წარმოადგენს რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი და ზემდეგი. შესაბამისად, სადავო ნორმით განსაზღვრული უმცროსი სპეციალური წოდების ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა დანაყოფების, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების სხვადასხვა წოდების მქონე მოსამსახურეები, რომლებსაც თანაბრად მიემართებათ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა. როგორც უკვე აღინიშნა, სამსახურიდან გათავისუფლებული, 60 წელს მიღწეული პირი იყო პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის, კერძოდ, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მოსამსახურე და მას მინიჭებული ჰქონდა ზემდეგის წოდება. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ნორმა ადგენს ზღვრულ ასაკს – 60 წელს – პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის, კერძოდ პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მოსამსახურისთვის, რომელსაც უკავია ზემდეგის პოზიცია. სადავო ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ მის საფუძველზე 60 წელს მიღწეული და 60 წელს მიუღწეველი მოქალაქეების მიმართ განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი არის დადგენილი. 60 წლის ასაკს მიღწეული პირები, ერთი მხრივ, კარგავენ უფლებას, რომ დაიკავონ პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მოსამსახურის თანამდებობა ზემდეგის პოზიციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მიმართ არსებობს თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი. ამგვარი, ასაკზე მიბმული საფუძველი არ არსებობს 60 წელს მიუღწეველ პირებთან მიმართებით. შესაბამისად, სახეზეა შესაძარებელ ჯგუფებს შორის დიფერენცირებული მოპყრობა.

55. როგორც უკვე აღინიშნა, უთანასწორო მოპყრობის არსებობა არ არის საკმარისი სამართლის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის დასადგენად. ამისათვის აგრეთვე აუცილებელია, რომ არსებითად თანასწორი პირების მიმართ ხორციელდებოდეს განსხვავებული



მოპყრობა. ამდენად, უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენენ შესაძარებელი პირები არსებითად თანასწორ პირებს.

56. მოცემულ შემთხვევაში, შესაძარებელ პირებს ერთმანეთისაგან განასხვავებთ მხოლოდ ერთი გარემოება – ასაკი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო სამსახური – სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შრომითი ურთიერთობების ერთობლიობა, გარკვეულწილად სახელმწიფო რესურსია, რომელზე წვდომაც თითოეულ მოქალაქეს თანაბრად უნდა გააჩნდეს. 60 წელს მიუღწეველ და მიღწეულ მოქალაქეებს აქვთ თანაბარი ინტერესი, სურვილის შემთხვევაში ჰქონდეთ შესაძლებლობა, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში და დაიკავონ პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მოსამსახურის თანამდებობა. ამ თვალსაზრისით, 60 წლის ასაკის მიღწევა ვერ ჩაითვლება იმგვარ გარემოებად, რომელიც გამოიწვევდა შესაძარებელი ჯგუფების ერთმანეთის არსებითად უთანასწოროდ განხილვას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებულია არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა და ადგილი აქვს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.

57. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად კონსტიტუციურია სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურისათვის, რომელსაც მინიჭებული აქვს ზემდეგის წოდება, თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკად 60 წლის განსაზღვრა. ამ მიზნით, სასამართლო გამოიყენებს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-13-მე-17 პუნქტებში ასახულ მსჯელობას და, შესაბამისად, დაადგენს, არსებობს თუ არა რეალური და რაციონალური კავშირი მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებას შორის.

2.2. შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება

2.2.1. ლეგიტიმური მიზანი

58. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა პენიტენციური სამსახურის ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, ემსახურება პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების დაცვას.

59. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „ზოგადად, ამა თუ იმ დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება, პირების კვალიფიკაციისა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაფერისობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა, ეფექტიანი მართვისკენ მიმართულ ღონისძიებას წარმოადგენდეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცამე, გიორგი თავამე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21).

60. პენიტენციური დაწესებულების ეფექტიანი და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესია. აღნიშნული ინტერესის დაცვა შესაძლებელია, ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევადაც კანონმდებელი უფლებამოსილია, დაადგინოს ასაკის ნიშნით ობიექტურად დიფერენცირებული მიდგომა არსებითად თანასწორ ჯგუფებს შორის. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული საჯარო ინტერესი გამოდგება სადავო ნორმით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვის დაწესების ლეგიტიმურ მიზნად და დასახელებული მიზნის მისაღწევად კანონმდებელი უფლებამოსილია, დაადგინოს დიფერენცირებული მოპყრობა.

2.2.2. გამოსადეგობა

61. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი სადავო ნორმით გათვალისწინებულ შეზღუდვასა და პენიტენციური დაწესებულების გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირების საჯარო ინტერესს შორის. მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმით პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ემსახურება მიზანს, რომ ამ თანამდებობაზე საქმიანობის



განხორციელება მოხდეს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების მქონე პირების მიერ. მოპასუხის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ასაკის მატება ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი მის ფიზიკურ შესაძლებლობებზე. ამდენად, იმისთვის, რომ პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის ფუნქციები განხორციელოს ამ საქმიანობისთვის შესაბამისმა კანდიდატმა, აუცილებელია, არსებობდეს პირის უნარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური, სავალდებულო შეფასების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები.

62. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის თანამდებობის დაკავებისა და განხორციელების უფლების შემზღვეველი ღონისძიების გამოსადეგობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკა და ის ფუნქციები, რომლის განხორციელებაც უწევთ მათ.

63. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალური დანაყოფის თანამშრომლები თავიანთი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე, ასრულებენ ისეთ სამუშაოებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულებასთან და მოითხოვს გარკვეული ფიზიკური შესაძლებლობების ქონას. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის №366 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალური დანაყოფი აერთიანებს პენიტენციურ დაწესებულებებს (მათ სტრუქტურულ ერთეულებსა და ყველა მოსამსახურეს), ასევე იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებათა ერთიანი მართვის, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, უსაფრთხოების დაცვის, უსაფრთხოების სპეციალური ღონისძიებების გატარების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანის/გადაყვანის და ექსტრადიციის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, შესაბამისი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის უზრუნველყოფისაკენ. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №631 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის თანახმად, გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის ფუნქციებს წარმოადგენს: ა) პენიტენციურ დაწესებულებათა გარე უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის, მათ შორის, გარე აკრძალული ზოლის დაცვა; ბ) სამსახურის სისტემის ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გ) დაწესებულებაში შემსვლელ/დაწესებულებიდან გამსვლელ პირთა (გარდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის) შემოწმება; დ) საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების, დოკუმენტების და საკვები პროდუქტების მოხვედრის აღკვეთა და პრევენცია; ე) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოების დაცვა და მათი მეთვალყურეობა.

64. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის ფუნქციების შესრულება, ცალკეულ შემთხვევებში, მოითხოვს ფიზიკური ძალის გამოყენებას. ამრიგად, აშკარაა, რომ მისი უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან.

65. შესაბამისად, ვინაიდან პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ამ კონტექსტში, აუცილებელია დადგინდეს, რა გავლენას ახდენს 60 წლის ასაკის მიღწევა ადამიანის ფიზიკურ მომზადებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

66. საქმეზე მოწვეული ექსპერტების განმარტებით, სადავო ასაკი თავისთავად, არ უნდა ჩაითვალოს იმ ასაკად, რომლის მიღწევის შემდგომაც, ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა გარდაუვლად უარესდება. შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, რომ მოცემულ შემთხვევაში, 60 წლის ასაკის ადამიანებში იმდენად ქვეითდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური/მენტალური მდგომარეობა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეასრულებს პენიტენციური სამსახურის უმცროსი სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. თუმცა, ექსპერტთა განმარტებით, 60 წლის ასაკი, როგორც წესი, უკვე იმ



ასაკვს წარმოადგენს, როცა ადამიანებში მნიშვნელოვნად ქვეითდება ფიზიკური მდგომარეობა.

67. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ 60 წლის ასაკს მიღწეულ პირთა უმრავლესობას ექნება იმგვარი ფიზიკური უნარები/მონაცემები და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ ისინი სრულფასოვნად შეძლებენ იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც, საჭიროებს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას.

68. მეორე მხრივ, როგორც სხდომაზე მოწვეული ექსპერტებისგან ირკვევა, ადამიანის ფიზიკური უნარები ინდივიდუალურია და 60 წლის ასაკს მიღწეულ პირებს შორის შესაძლოა, მართლაც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური მონაცემები სრულად შეესაბამება პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის ფუნქციებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ის ფაქტი, რომ გარკვეულ ასაკში მყოფ პირთა დიდი უმრავლესობა ვერ შეძლებს საქმიანობის სათანადოდ განხორციელებას, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ყველა სხვა პირის ასეთად მიჩნევას. ამდენად, ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება არარაციონალური იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ პირის თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გონივრულ ფარგლებში არის შესაძლებელი მათი უნარების ინდივიდუალური შეფასების შედეგად. ამდენად, ასაკთან დაკავშირებული ბლანკეტური შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, კანონმდებელი ასევე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ შეუძლებელია ან/და არაგონივრულია პირთა უნარების ინდივიდუალური შეფასება და თანამდებობის დაკავების საკითხის მის საფუძველზე გადაწყვეტა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

69. ამდენად, უნდა დადგინდეს, რამდენად არის შესაძლებელი პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურისთვის მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარების ინდივიდუალური შეფასება და უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების საკითხის მის საფუძველზე გადაწყვეტა.

70. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალურ დანაყოფში სამუშაოდ მიიღებიან ის პირები, რომლებსაც ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლიათ, შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობები. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამსახურის სპეციალური დანაყოფების მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც მას არ აძლევს საშუალებას, სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობა. ამრიგად, სპეციალურ დანაყოფებში საქმიანობის განმახორციელებელი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მონაცემების შემოწმების აუცილებლობა არსებობს მისი ასაკის მიუხედავად. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნორმატივებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემის სპეციალურ დანაყოფებში აბარებენ გარე დაცვისა და ესკორტირების სამსახურის მოსამსახურეები, რისი ვალდებულებაც 2020 წლიდან ნორმატიულად არის გაწერილი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც გარკვეული პერიოდულობით არსებობს პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის შემოწმების ნორმატიული წესი, შესაძლებელია, ამგვარ შემოწმებას დაექვემდებარონ როგორც 60 წელს მიუღწეველი, ისე 60 წელს მიღწეული პირები. პენიტენციური სამსახურის გარე დაცვის მოსამსახურის საქმიანობის განმახორციელებელი პირების შემოწმებისა და, ამ გზით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის შესაძლებლობა არსებობს როგორც 60 წელს მიუღწეველი, ისე 60 წელს მიღწეული პირების მიმართ.

71. ამრიგად, შესაძარებელ პირებს შორის დიფერენცირებასა და მათ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევას განაპირობებს პენიტენციური სამსახურის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისა და, საკუთრივ, პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. როგორც უკვე დადგინდა, შესაძლებელია 60 წლის ასაკში პირს დაუქვეითდეს მასზე დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისთვის საჭირო უნარები, თუმცა საკანონმდებლო მოწესრიგება არ იძლევა აღნიშნული პირების თანამდებობასთან შესაფერისობის საკითხის გონივრულ ფარგლებში გადაწყვეტის შესაძლებლობას. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი ბლანკეტური შეზღუდვა, რომელიც არ ითვალისწინებს, პირთა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური



გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად ბლანკეტურად განსაზღვრავს 60 წლის მიღწევას, არ არის რაციონალურ კავშირში დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანთან. ამგვარად, არ არსებობს ასაკობრივი ნიშნით დაწესებული განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

72. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო რეგულაცია დისკრიმინაციულია და საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურისათვის, რომელსაც მინიჭებული აქვს იუსტიციის ზემდეგის წოდება, თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკად განსაზღვრავს 60 წელს.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს №1605 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის მთავარი სამმართველოს მოსამსახურისათვის, რომელსაც მინიჭებული აქვს იუსტიციის ზემდეგის წოდება თანამდებობაზე ყოფნის ზღვრულ ასაკად განსაზღვრავს 60 წელს.
2. არ დაკმაყოფილდეს №1591 კონსტიტუციური სარჩელი („მერაბ მურადაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“).
3. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
6. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
7. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

ვასილ როინიშვილი



ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

